

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხრებელი მოსახლეობისთვის
დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდაპოინთან რაიონებში - 17-22, მთაში - 8-13 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიკოსი N 10

რეკონსტრუქციის საფუძველზე გადაწყდება, ვინ მიიღებს პირველ ეტაპზე ბინას საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე

დაბრუნდა ბაზაიძე 27 48 93

ჩვენ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის გამზადდით საქართველოს! - ამის შესახებ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი ოლივერ ვარაჟი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს. «გვინდა, რომ საქართველოს დიდ უმრავლესობას სურს ევროკავშირში გაწევრიანება. ეს ძალიან ძლიერი მანდატია არა მხოლოდ მთავრობისთვის, არამედ მთელი ქვეყნის პოლიტიკური ელიტისთვის და ყველა იმ პირისთვის, ვინც აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით», - აღნიშნავს ევროკომისარი ვარაჟი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. კომიტეტის წინაშე მოხსენებით წარსდგა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე. მან ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებზე, კანონპროექტით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს პროგრამებზე, პროექტებსა და სიახლეებზე ისაუბრა, უპასუხა კომიტეტის წევრთა შეკითხვებს, მოისმინა მათი მოსაზრებები. მინისტრმა განაცხადა, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტი პირველად შეადგენს ნახევარ მილიარდ ლარს, რაც გასულ წელთან შედარებით 5%-ით არის გაზრდილი (25 მილიონი ლარით მეტი). იგი სხვადასხვა მიმართულებებზე გადანაწილდება.



ეტიკეტის მეორე ეტაპზე ისაუბრეთ. უფრო დეტალურად, გააცანით იგი ჩვენს მკითხველს...

შესაბამისად აგრძელებს სამთავრობო კომისია მუშაობას, ანუ ამ რეკომენდაციების საფუძველზე გადაწყდება, ვინ მიიღებს პირველ ეტაპზე ბინას.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, გუშინ, ინტერპელაციის წესით, პრემიერ-მინისტრს მოუსმინეს. ირაკლი ლარიაშვილმა ოპოზიციონერი დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. «ქართულმა ოცნებამ» გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ მიგვეღო კანდიდატის სტატუსი, ხოლო თქვენ გააკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ არ მიგვეღო - ეს იყო შეთქმულება, საბოლოო საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ და ამის თანამონაწილე ხართ ყველა, - მიმართა მან <https://www.interpresnews.ge/ka/profiles/143-irakli-garibashvili> ოპოზიციის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე საუბრისას. ლარიაშვილმა გამოთქმული უწოდა ევროკომისარი ოლივერ ვარაჟის ჩამოხვალსთან დაკავშირებით ოპოზიციის განცხადებებს და აღნიშნა, რომ დესტრუქციულმა ოპოზიციამ რადიკალური ფორმით შეურაცხყოფა მიიყენა ადამიანს, რომელმაც საქართველოში პოზიტიური გზავნილები ჩამოიტანა.

კომიტეტმა წარმოდგენილი დასკვნების, შენიშვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირა საკითხზე შემდგომი პროცედურების გაგრძელებას. სხდომაზე მეორე საკითხად განიხილეს და ცნობად მიიღეს ჯაბა ფუტყარაძის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

ეტიკეტის მეორე ეტაპზე ისაუბრეთ. უფრო დეტალურად, გააცანით იგი ჩვენს მკითხველს... «ოცნების ქალაქის» ძირითადი მოსახლეობა სადაც ბინადრობს, სწორედ იმ ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა მოგამზადეთ და ეს საკრებულომ უკვე დაამტკიცა. შესაბამისად, ამ განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით მოხდება დეტალური, იმ ახალი სამშენებლო კორპუსების პროექტირება, სადაც შემდეგში განთავსდებიან იქ მცხოვრები მოქალაქეები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სკოლის, სხვადასხვა სარეკრეაციო გასართობი ადგილების მოწყობას და ამასაც, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად მოვავაგრებთ.

იქ მცხოვრებ მოსახლეობას ამ ეტაპზე, ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო გადაადგილების სერიოზული პრობლემები აქვს...

ურთიერთბატვიცემისა და ნდობაზე აგებული აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობები დინამიურად ვითარდება და ახლა ახალ შინაარსს იძენს, - ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევის წერილშია აღნიშნული, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავთან დაკავშირებით გამოუგზავნა. «მჯერა, რომ ჩვენი რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის დიდი შესაძლებლობები არსებობს», - აღნიშნულია წერილში.

სხდომაზე ბოლო საკითხად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ კანონის პროექტი განიხილეს, რომელიც მისმა ინიციატორმა მარინე გვიანიძემ წარმოადგინა. კომიტეტის წევრებმა კანონის პროექტი პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნიეს.

რამდენი ოჯახის დაკმაყოფილებას ითვალისწინებს პირველი ეტაპი და როდისთვის იგეგმება მათთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა?

გვეფიქრობ, როგორც კი პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოები დასრულდება, იქ გამოჩნდება გარკვეული სივრცეები, რომლებიც მაქსიმალურად გაუადვილებს ოცნების ქალაქის ბინადართ გადაადგილებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ითვალისწინებს გარკვეული სახლების აღებას, რომელთა მკვიდრნი პირველივე ეტაპზე უკვე შესახლებული იქნებიან ახალ კორპუსში, ამიტომ უფრო მეტი სივრცე დარჩება როგორც სამშენებლო სამუშაოებისთვის, აგრეთვე გადაადგილებისთვის. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტი, საუბარია „ბათუმის წყალზე“, სტიქიის სხვადასხვა შემთხვევის დროს მაქსიმალურად უსწრაფეს ვადებში, იმ ტექნიკური რესურსის ფარგლებში,

სხდომის დასრულების შემდეგ ჩვენს კითხვებს უპასუხა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ. - თქვენ სხდომაზე ოცნების ქალაქის მშენ-

პირველი ეტაპი ითვალისწინებს 582 ოჯახის დაბინავებას. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ დეტალური კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მოქალაქეების განთავსება. ეს კრიტერიუმები შევრდა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე იქ მცხოვრები მოქალაქეების რეკომენდაციების გათვალისწინებით და

იხ. გვ-2 გვ.

გზა დავულოსოთ «პირველ ავტობუსს»

2

როგორ დავარწმუნოთ მოქალაქეები მედიაციის საჭიროებაში?

3

იპოვება აჭარის სოფლებში ქალაქიდან გაუსვლელად

4

«როგორ მივუტოვებთ სხვას, როცა თავი ანგალონი ვვპონია?»

5

გამოიწერეთ გზაში «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





იმობილური აჭარის სოფლებში ქალაქიდან გაუსვლილად პენსიები და ხელფასები იზრდება

20 ნოემბერს ბათუმი სოფლის ტურიზმის ფესტივალ „განდაგანას“ უმასპინძლებს. სოფლის ტურიზმის პოპულარიზაციის მიმართულებით ყველაზე საინტერესო ეს ფესტივალი ტრადიციულად ევროპის მოედანზე ჩატარდება.

ერთი დღით აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნაწარმით - პროდუქტით, ხელნაკეთი ნივთებით, ტრადიციებითა და ფოლკლორით ბათუმის შუაგულში იქნება წარმოდგენილი.



ის „ბერიკაობის“ აჭარული ნაირსახეობაა. წარმოდგენა ქალაქის ქუჩებში დაიწყება და ერას მოედანზე დასრულდება. ფესტივალის სტუმრების განწყობაზე ადგილობრივ ფოლკლორულ ჯგუფებთან ერთად ზვიად ბოლქვაძე და ბენდი, ასევე „კახაბერი და ხანუმები“ იზრუნებენ.

სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ 2015 წლიდან აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით იმართება. მისი მიზანი აჭარული სოფლების პოპულარიზაცია, წარმოჩენა და სოფლად ტურისტების მოზარდობის სტიმულირებაა. ფესტივალი 2020-2022 წლებში არ ჩატარებულა.

შეგახსენებთ, რომ ფესტივალ „განდაგანაზე“ დასწრება თავისუფალია!

წელს ავთენტური, აჭარული დეკორაციებით გაფორმებული ფესტივალის მთავარი თემა აჭარული ნაქარგობები იქნება, რომლის დეკორაციებთანაც გაფორმდება საფესტივალე სივრცე. მთელი დღის განმავლობაში სტუმრებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ქორეოგრაფიულ და კულ-

ინარიულ მასტერკლასებში, ჩურჩხელის ამოვლებში, ჭაჭის გამოხდის, თუთუნის დაჭრისა და საწინახელში ყურძნის დაწურვის პროცესში. „განდაგანას“ ფარგლებში ასევე მოეწყობა კულინარიული შეჯიბრება, რომელზეც გუნდები კულინარიული გზამკვლევიდან „კულინარიული მოზარდობა აჭარაში“

რამდენიმე მიმდევრულ კერძს მოამზადებენ. სტუმრებს კი აჭარული კერძების დაგემოვნება შეეძლება.

წელს პირველად, სტუმრებისთვის გასართობი თამაშის სახით გაცოცხლდება უძველესი საწესჩვეულებო რიტუალი - „ფადიკო“, რომელიც ხალხური დღესასწაულ-

ტურიზმის ღირებულებები - ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე

მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, რომელიც წელს 43-ედი გაიმართა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, 10 ტურისტული კომპანია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თბილისის მერია და იმერეთის დანიშნულების ავდილის მართვის ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი.



ომუნიკაციო სააგენტოების წარმომადგენლებს საქართველოს ტურისტული პოტენციალი, პროდუქტები, ავიარეისების შესახებ ინფორმაცია და ტურიზმის აღდგენის დინამიკა გააცნო. შეხვედრებს საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში სოფიო ქაჭარავა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუმარმასპინძლობის, ავიაციის, ტრანსპორტის, სამოგზაურო ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროს პროფესიონალებს მასპინძლობდა. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, პირისპირ შეხვედრების ფორმატში ბიზნესის წარმომადგენლებისთვის გაცემოთ ტურისტული პროდუქტები და მიმართულებები.

აღსანიშნავია, რომ ლონდონიდან პირდაპირი ავიარეისების აღდგენის შესაძლებლობები განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვიციანიძის კომპანია easyjet-თან შეხვედრისას. აღინიშნა, რომ პირდაპირი ავიარეისების აღდგენა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურისტების ნაკადების კიდევ უფრო მატებას.

გამოფენას 51 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, წარდგენილი იყო 5000-მდე კომპანია. გამოფენას ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის 70-ზე მეტი ტურიზმის მინისტრი და ტურიზმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ესწრება. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გამოფენა 3 ათასმა ჟურნალისტმა გააშუქა.

ლონდონის საერთაშორისო ტურისტული გამოფენის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ორმხრივი შეხვედრები გამართა.

ქართულმა მხარემ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურისტული კომპანიების, ავიაკომპანიების, სამოგზაურო პლატფორმებისა და საკ-

„საქართველო ღვინის სამოგზაურო“ - ტურისტული პოტენციალის პროკულარული აქტივობა, ამჟამად - ესკანეთში

ესპანეთის ქალაქ ვილაფრანკაში რიგით მე-11 ღვინის ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართა, სადაც საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით იყო მიწვეული.



ფესტივალზე ქართული ფილმის „საქართველო ღვინის სამოგზაურო“ ჩვენება გაიმართა. ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ საქართველო ღვინის სამოგზაურო, ხაზი გაესვა უძველესი კულტურის მქონე რეგიონ ქვეყნის როლს და მნიშვნელობას - ქვეყნის ღვინის დაყენების 8000-წლოვანი უწყვეტი ქართული ტრადიციული მეთოდი UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში 2013 წელს არის შეტანილი.

ბასა და ტურისტებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ პოტენციალს, დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო.

ღონისძიება ოფიციალურად გახსნეს და დამსწრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ქალაქ ვილაფრანკას მერმა პერე რეგუმი და ქალაქ ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ალექსანდრე ჭკუასელიძემ. მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას, რომელსაც ღვინის დამზადების უნიკალური მეთოდი და ტრადიცია გააჩნია.

ღონისძიება ქართული ხალხური სიმღერების თანხლებით წარიმართა.

ქალაქ ვილაფრანკას ცენტრში მოეწყო ქართული კუთხე, სადაც ადგილობრივ მოსახლეობ-

ბასა და ტურისტებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ პოტენციალს, დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო.

ღონისძიება ოფიციალურად გახსნეს და დამსწრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ქალაქ ვილაფრანკას მერმა პერე რეგუმი და ქალაქ ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ალექსანდრე ჭკუასელიძემ. მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას, რომელსაც ღვინის დამზადების უნიკალური მეთოდი და ტრადიცია გააჩნია.



2023 წლის ბიუჯეტის პროექტით პენსია და სხვადასხვა სოციალური დახმარების ოდენობა იზრდება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა პარლამენტში, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას განაცხადა.

ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილის განცხადებით, სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 640 მილიონ ლარით და 5 მილიარდ 340 მილიონ ლარს შეადგენს. „მათ შორის: პენსიები და კომპენსაციები - 3 მილიარდ 150 მილიონ ლარზე მეტი; მიზნობრივი სოციალური ჯგუფების დახმარებები - 1 მილიარდ 150 მილიონ ლარზე მეტი; მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა დახმარებები - 85 მილიონი ლარი; ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები - 70 მილიონ ლარამდე; დასაქმების ხელშეწყობა - 80 მილიონ ლარზე მეტი; საპენსიო სქემის თანადაფინანსება - 310 მილიონი ლარი; მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამები - 290 მილიონი ლარი. გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია: 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსიის ზრდა 65 ლარით, რისი გათვალისწინებაც; მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა პენსია, კანონით განსაზღვრული საპენსიო დანამატის ჩათვლით, იქნება 438 ლარი; დანარჩენი პენსიონერებისთვის - 365 ლარი; 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 35 ლარით, რისი გათვალისწინებაც; მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა პენსია, შემოღებული დანამატის ჩათვლით, იქნება 354 ლარი; დანარჩენი პენსიონერებისთვის - 295 ლარი; მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირთა დახმარება იზრდება 65 ლარით; სხვა კატეგორიის შშმ პირთა დახმარება - 35 ლარით; გარდა შემოღებული შშმებისა, სოციალური კუთხით აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისთვის იწყება 7 ათას ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს გამოყოფილია 230,0 მლნ ლარი“, - აღნიშნა მინისტრმა.

მისივე თქმით, 2023 წელს ჯანდაცვის დაფინანსებაზე 1 მილიარდ 600 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი, საიდანაც საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება 850 მილიონ ლარს შეადგენს.

მინისტრის განცხადებით, პროგრამის ფარგლებში მომდევნო წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდება ქრონიკული მედიკამენტების დაფინანსება, ასევე, დაინერგება დაფინანსების ახალი - ე.წ. DRG მოდელი.

მისივე თქმით, პირველად და გადუღებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისთვის გამოყოფა 190 მილიონ ლარზე მეტი. პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია სასწრაფო დახმარების სამსახურის პერსონალის ხელფასების 10-პროცენტიანი ზრდა. ასევე, სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასების 100 ლარით ზრდა.

ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გამოყოფილია 97 მილიონი ლარი. კორონავირუსთან დაკავშირებული ხარჯები მცირდება თითქმის 500 მლნ ლარით და ამ ეტაპზე გათვალისწინებულია 63 მილიონ ლარამდე. მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება შეადგენს 85 მილიონ ლარს. ჯანდაცვის სხვა პროგრამებზე გამოყოფილია 340 მილიონ ლარამდე, - განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

გვერდი მოამზადა ხატია იაშვილი



კატარი მზადაა ფეხბურთის ჩემპიონატისთვის

21 ნოემბერს კატარში, აღბათ სტადიონზე, რომელიც დამაინდან 30 კილომეტრშია და ძველი საცხოვრებლის სტილია აგებული, 22-ე მსოფლიო ჩემპიონატი იხსნება ფეხბურთში. მის ფინალურ ნაწილს კატარი 18 დეკემბრამდე უმასპინძლებს

ეს ქვეყანა პირველად მასპინძლობს ასეთი მაღალი დონის ღონისძიებას ფეხბურთში და თამამდ შეიძლება ითქვას, რომ ამისთვის კატარმა ააშენა სრულიად ახალი მომავლის ქალაქი. აქ ბევრი რამ პირველად იქნება - მსოფლიო ჩემპიონატი ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, საერთოდ, არაბულ სამყაროში პირველად ჩატარდება, ასევე, პირველად გაიმართება წლევეანდელი მსოფლიო ჩემპიონატი შემოდგომა-ზამთარში.

კატარი ამ ჩემპიონატის ორგანიზატორად 2010 წლის 2 დეკემბერს ციურხში (შვეიცარიაში) დასახლდა. მისი კონკურენტები იყვნენ ავსტრალია, ამერიკა, კორეის რესპუბლიკა და იაპონია, მაგრამ კატარმა შეძლო თავისი უპირატესობის დაცვა. ზაფხულის გაუსაძლისი სიცხის გამო ტარდება ჩემპიონატი კატარში ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში. ეს პერიოდი ქვეყანას თავად ფიფამ შესთავაზა. ამიტომ განსხვავდება ის სხვა ჩემპიონატებისგან, რომლებსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანა მხოლოდ ზაფხულში მასპინძლობდა. წლევეანდელი ჩემპიონატი ოდნავ დროშიცაა შემცირებული - სულ 28 დღეს გაგრძელდება. ეს არის ფიფას ბოლო ჩემპიონატი, რომლის ფინალურ სტადიონზე 32 გუნდი მონაწილეობს. ჩემპიონატის



ლოგო თეთრი და წითელი, ტრადიციული არაბული ორნამენტებით გაწყობილი ლენტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს უსასრულობას. 2022 წელი კატარის ერთგული დროის ფერებში უძველესი არაბული დამწერლობითაა გამოსახული. უწყვეტი მარწყუი რვიანის სახითაა წარმოდგენილი, რაც იმ რვა სტადიონს ნიშნავს, რომლებიც ჩემპიონატს კატარის სხვადასხვა ქალაქში უმასპინძლებს. სიცხისგან თავის დასაღწევად, მასპინძლებმა სტადიონები ჰაერის გამაგრილებელი სისტემებით აღჭურვეს. ამბობენ, რომ ეს მსოფლიო ჩემპიონატი ასეთ მასშტაბურ ფორუმებს შორის ყველაზე ძვირადღირებულია - მასში ჩადებული თა-

ხნა 200 მილიარდს აჭარბებს. საბრისო ფონდის, სხვა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ყველაზე მაღალია. კატარში გამოიყენებენ თანამედროვე, ნახევრადავტომატურ ტექნიკას თამაშარე მდგომარეობის გამოსავლენად, რომელიც უკვე გამოიყენეს და შეამოწმეს საკლუბო ჩემპიონატზე. თამაში ეკრანზე გამოისახება უახლესი ტექნიკით. გულშემატკივარს ბილითონ ერთად მიეცემა სპეციალური ბარათი, რომელიც ტურნირის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის საშუალებას მისცემს. საცობები რომ არ შეიქმნას, კატარში სკოლები დროებით იხურება, საჯარო მოხელეებს

კი უფლება ეძლევათ, სახლიდან იმუშაონ. ჩემპიონატისთვის აიგო ახალი და ასევე რეკონსტრუირებული რვა სტადიონი, რომელიც საშუალოდ 40-დან 80 მაყურებელს იტევს და თითოეული გამოირჩევა თავისებურებით. სხვათა შორის, ერთ-ერთი 974 კონტინენტითაა აშენებული (სწორედ ეს რიცხვია კატარის სატელეფონო კოდი). ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიეყენებინათ გარემოსთვის. კატარი ჩემპიონატის მიმდინარეობისას მილიონზე მეტ გულშემატკივარს მიიღებს. უბილეთო ადამიანი სტადიონს ვერც კი მიუახლოვდება. რა თქმა უნდა, უსაფრთხო-



ბის ზომები უმაღლეს დონეზე იქნება დაცული. კატარი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, აქ დანაშაულის ყველაზე დაბალი დონეა. გულშემატკივართა განთავსებისთვის გამოყოფილია ნომრები როგორც სასტუმროებში, ისე კემპინგებში - უდაბნოში, ვილებში, ფან სოფლებში, სანაპიროზე მდგომი საკრუიზო გემების კაიუტებიც კი. მოსახლეობასაც მიეცა უფლება, ჩემპიონატის მიმდინარეობისას გააქირაოს საკუთარი ბინები. კატარის ჩემპიონატი იმითაცაა გამოირჩეული, რომ აქ, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად იმსახვებენ ქალები. ჩემპიონატის თილისმა არაბული ტრადიციული თავსაბურავი. კატარის გუნდს არასდროს უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატზე. ამჟამად ის, როგორც მასპინძელი ქვეყნის გუნდი, „ა“ ჯგუფში სენეგალთან, ეკვატორსა და ნიდერლანდებთან ერთად იასპარეზებს. ჩემპიონატი დაიხურება ლუსაილის სტადიონზე, სადაც ფინალური შეხვედრა გაიმართება და მასზე დასწრება ერთდროულად 80 ათას გულშემატკივარს შეეძლება.

აჭარის ჩემპიონატი ბილიარდში მოჭადრაკეების წარმატება

ბათუმში ჩატარდა აჭარის ჩემპიონატი ბილიარდის ერთერთ სახეობაში - პულში (სახეობა 10-იანი) აჭარის 2022 წლის ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ვიქტორ ფიფია, ვერცხლის მედალი დასაკურთხა სპორტის ოსტატმა გიორგი დიმიტრაძემ, ხოლო ლუკა ოდილა ვაძემ და გიორგი ყურუშუბაძემ ბრინჯაო მოიპოვეს. გაირკვა აჭარის ნაკრები გუნდის ექვსეული, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც დღეს ბათუმში დაიწყო. როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ გვითხრა, საქართველოს ჩემპიონატს პულში ჩვენი ქალაქი პირველად მასპინძლობს.



6-14 ნოემბერს თურქეთის ქალაქ ანტალიაში ევროპის ასაკობრივი (8, 10, 12, 14 და 18 წლამდე) ჩემპიონატი გაიმართა ჰადრაკში ჰაბუეებსა და გოგონებს შორის. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. ჩემპიონატში 46 ქვეყნის 1000 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის, 18 - საქართველოდან. ჩვენს გუნდში ოთხი ბათუმელი გოგონაც იყო - ანეტა ქედელიძე (ათ წლამდე გოგონათა შორის, რომელმაც 9-დან 5 ქულა მოიპოვა), კესარია მგელაძე (12 წლამდე, 9-დან - 6,5), მარიამ კალანდაძე (9-დან - 6), მარიამ ცეცხლაძე (9-დან - 7 ქულა). 10 წლამდე ჰაბუეტა შორის (9-დან 7 ქულით) ვერცხლის მედალი მგლობელი გახდა ქუთაისელი გაბრიელ გაბაძაძე. აჭარის წარმომადგენლებიდან საპრიზო ხუთეულში გავიდნენ მარიამ ცეცხლაძე და კესარია მგელაძე. მარიამმა 14 წლამდე გოგონათა შორის, 9-დან 7 ქულით, მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო და კოეფიციენტით მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო კესარიამ 12 წლამდე გოგონათა შორის, 9-დან 6,5 ქულით, მეოთხე ადგილი დაიკავა.



ვეტირანი მოცეკვავეების საღამო-კონსერტი

ბათუმში გამართული საღამო, რომელშიც რეზო ბულიას სახელობის ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ და აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ ქორეოგრაფიული ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ, ჩვენი ქალაქების ისტორიის, მეგობრობის, იმ კულტურას მიეძღვნა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. როგორც ანსამბლ „არსიანის“ პიარმენეჯერმა ირინე ჩახვაძემ გვითხრა, ანსამბლის წარმომადგენლები ცდილობენ ამ ურთიერთობების შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემას. ანსამბლი „ჩელას“ 1968 წელს შეიქმნა, 2013 წელს რეზო ბულიამ შეკრიბა სხვადასხვა თაობის მოცეკვავეები და ჩამოაყალიბა ქორეოგრაფიული ჯგუფი, ხოლო ანსამბლ „არსიანის“ ვეტერანთა ქორეოგრაფიული ჯგუფი ანსამბლის ყოფილი დირექტორის, აწ განსვენებული ოთარ მიქელაძის იდეით 2019 წელს შეიქმნა. საღამოზე გაიხსენეს ხელოვანები: მელიტონ კუხიანიძე, მირიან ჩხიკვიშვილი, დავით ჯავრიშვილი, არტემ ერქომაიშვილი, ალექსანდრე ჯიჯიშვილი, ენვერ ხაბაძე, თემურ



ბიბილიეშვილი, თამაზ ბეჟანიძე, ოთარ მიქელაძე, რეზო ბულია... აჩვენეს სპეციალურად ამ საღამოსთვის შექმნილი ვიდეორგოლები. კონცერტის ბოლოს ორივე ანსამბლის მოცეკვავეებმა ერთად შეარულეს ცეკვა „აჭარული“.

საღამოზე ღვაწლმოსილი ხელოვანი, ანსამბლ „არსიანის“ წამყვანი სოლისტი ბადრი ტარიელაძე, ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს

ქორეოგრაფთა აკადემიამ „ხელოვნების ამგდარის“ ორდენით დააჯილდოვა. კონცერტს ესწრებოდნენ ანსამბლ „ჩელას“ დამარსებელი რეზო ბულიას ქალიშვილი დედაქა ბულია მეფულესთან ერთად, რომელიც თბილისიდან ბათუმში სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდა, ასევე, ზუგდიდის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე კაკავა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე ნინო მამკორია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი თამარ გუდავა, კულტურის დეპარტამენტის ფოლკლორის ხელშეწყობის განყოფილების უფროსი მადონა თევზაძე. სტუმრებმა დაათვალიერეს ანსამბლ „არსიანის“ ისტორიის მუზეუმი. - მადლობა „არსიანის“ დირექტორ გიორგი ჭანიშვილს, ანსამბლის თითოეულ წევრს გულთხადი მასპინძლობისთვის. დღეს ყველა დარწმუნდა, რომ ქართულმა ქორეოგრაფიამ ასაკი არ იცის. ასეთივე საღამო ჩვენთანაც გაიმართა, ზუგდიდში, მასში. დღეს თქვენთან ვართ და მიხარია, რომ ეს თბილი, მეგობრული ურთიერთობა გრძელდება, - აღნიშნა

რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელას“ უფროსი თაობის სამხატვრო ხელმძღვანელმა რომეო ბულიამ. - ჩემთვის პატივია, რომ ამ საღამოზე ვიმყოფები. დიდი ხანი გმოღვაწეობდი ანსამბლ „არსიანში“, ახლა ვეტერანთა ჯგუფში ვცეკვავ, მადლობა დღევანდელი საღამოსთვის ორივე ანსამბლის ხელმძღვანელობას. წარმატებებს ვუსურვებ, - თქვა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ ვეტერანთა ქორეოგრაფიული ჯგუფის მოცეკვავე მსახიობმა თამარ ხალვაშმა. - მინდა ჩემი ემოცია გამოვხატო არა როგორც რეზო ბულიას შვილმა, არამედ როგორც რიგითმა მაყურებელმა. „არსიანი“ ჩემთვის აღმოჩენაა. დატვირთული ვარ და დღებითი ემოციებით. კონცერტის პირველივე წუთიდან წამოვიდა ის მუხტი, რომელიც დიდი ხანია არ მიგრძენია საკონცერტო დარბაზებში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დავესწარი ამ საოცარ საღამოს. ვისურვებთ მსგავსი პროექტების განხორციელებას. ეს აუცილებელია ნებისმიერი ქართველისთვის და არა მხოლოდ, - გვითხრა დედაქა ბულიამ.